



ACCOUNTANCY
EUROPE.

**განკვეთილი, სოციალური და
განკვეთილი სისტემის განთავსება:
განკვეთილი სისტემის განთავსების
სისტემის განთავსების**

VIEWS.

განკვეთილი სისტემის განთავსება
სისტემის განთავსება, 2022

მთავარი თემები

რისკების ზედამხედველობაში, შიდა კონტროლში, კორპორაციული ანგარიშგების მომზადებაში და აუდიტში ჩართულობით აუდიტის კომიტეტები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ ძლიერი კორპორაციული მართვის განვითარებაში.

ევროკავშირის ახალი კანონმდებლობა აფართოებს საბჭოებისა და აუდიტის კომიტეტების მანდატს, რათა მოიცავდეს გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით (ESG) საკითხებს. ევროკომისიის პროექტი კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივის შესახებ აუდიტის კომიტეტებს კომპანიის მდგრადობის ანგარიშგებისა და რწმუნების მთელ რიგ ამოცანებს აკისრებს. ევროკომისიის პროექტი დირექტივისთვის მდგრადი კორპორაციული სპეციალური შემოწმების (დიუ დილიჯენსის) შესახებ კომპანიებს ავალდებულებს განახორციელონ ქმედებები და პოლიტიკა, რათა გაუმკლავდნენ უარყოფით/არახელსაყრელ გავლენას ადამიანის უფლებებსა და გარემოზე საკუთარ ოპერაციებსა და ღირებულების ჯაჭვებში.

ევროკავშირის შესაბამისი კანონმდებლობისა და დაინტერესებული მხარეების მოთხოვნების საფუძველზე წინამდებარე დოკუმენტში მოცემულია აუდიტის კომიტეტების მოსალოდნელი ფუნქციებისა და მოვალეობების მიმოხილვა. იგი მოიცავს ESG პასუხისმგებლობებთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს აუდიტის კომიტეტებისთვის, სადაც ყურადღება გამახვილებულია აუდიტის კომიტეტის:

- კომპეტენციებსა და შემადგენლობაზე;
- ESG ანგარიშგებასა და რწმუნების პასუხისმგებლობებზე.

წინამდებარე გამოცემა წარმოდგენს იმ დოკუმენტის თარგმანს, რომლის თავდაპირველი ვერსია გამოქვეყნდა 2022 წლის აპრილში Accountancy Europe-ის მიერ სათაურით ESG Governance - Recommendations for Audit Committees.

თარგმანი მომზადებულია ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის სრული პასუხისმგებლობით. Accountancy Europe არ არის პასუხისმგებელი თარგმნილი დოკუმენტის შინაარსსა და თარგმანის სიზუსტეზე. ნებისმიერი ეჭვის შემთხვევაში მკითხველმა უნდა მიმართოს დოკუმენტის ორიგინალ, ინგლისურ ვერსიას. მისი უფასოდ გადმოწერა შესაძლებელია Accountancy Europe-ის ვებ-გვერდიდან: ბმული.

დაუშვებელია Accountancy Europe-ის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტების ორიგინალი ან თარგმნილი ვერსიების გამრავლება/გავრცელება, სრულად ან ნაწილობრივ, Accountancy Europe-ის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. დაუკავშირდით Accountancy Europe-ს ელ-ფოსტის შემდეგ მისამართზე - info@accountancyeurope.eu

This publication is the translation of a document originally published by Accountancy Europe in April 2022, entitled ESG Governance - Recommendations for Audit Committees.

The translation has been prepared under the full responsibility of Service for Accounting, Reporting and Auditing Supervision (SARAS). Accountancy Europe bears no responsibility for the content of the document or for the accuracy of the translation. In case of doubt the reader should refer to the original English version that can be downloaded free of charge from the Accountancy Europe website: [link](#).

Accountancy Europe documents may not be reproduced, in total or in part, in the original language or in translation, without the prior written consent of Accountancy Europe info@accountancyeurope.eu

შესავალი	3
მიზანი	3
რატომ არის მნიშვნელოვანი აუდიტის კომიტეტები ძლიერი კორპორაციული მართვისთვის და გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით სისტემაზე გადასვლისთვის?	3
ფაქტორები, რომლებიც არსებობს ESG-ის კორპორაციულ მართვაში ინტეგრაციის მიღმა	4
გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი სისტემის ინტეგრაცია კორპორაციული მართვის სტრუქტურებში	5
გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი სისტემა, როგორც საბჭოს სტრატეგიული საკითხი	5
გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი სისტემა საბჭოს კომიტეტებსა და კომპანიის ფუნქციებში	5
ESG-ის მოთხოვნილებებისთვის შესაფერისი მმართველობა	6
აუდიტის კომიტეტების როლი ESG-ის მართვაში	6
რეკომენდაციები: აუდიტის კომიტეტის ESG მანდატი, კომპეტენციები და შემადგენლობა	7
1. საკომუნიკაციო უნარების გამოყენება ESG გამოწვევების დასაძლევად	7
2. ESG-ის შესახებ ცოდნისა და გამოცდილების გაძლიერება	7
3. აუდიტორებთან თანამშრომლობა ESG-სთან დაკავშირებით	7
აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარემ ხელი უნდა შეუწყოს ESG-სთან დაკავშირებულ ღია განხილვას	8
დამატებითი ინსტრუმენტები აუდიტის კომიტეტებისთვის გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით სისტემაში თავიანთი ფუნქციების შესასრულებლად	8
ძირითადი საკითხები: აუდიტის კომიტეტების გაძლიერებული პასუხისმგებლობები გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით საკითხებზე	9
შიდა კონტროლი და რისკის მართვის სისტემები	9
რისკის სცენარის ანალიზი	9
ESG-ისთან დაკავშირებული გასამქლავნებელი ინფორმაცია	10
ESG-ის რწმუნება	10
სხვა გასათვალისწინებელი საკითხები	11
საბჭოსთვის ინფორმაციის მიწოდება	11
დასკვნითი შენიშვნები	11

შესავალი

საბჭოს კომიტეტები ხშირად ეხმარებიან დირექტორთა საბჭოს, როგორც ან სპეციალიზებული საკითხების გააზრებასა და შესრულებაში. კომიტეტების ფუნქციები და მოვალეობები განისაზღვრება როგორც საბჭოს, ასევე ევროკავშირისა და ადგილობრივი კანონმდებლობის მიერ მათზე დელეგირებული ამოცანებით, როგორც ეს მათ უფლებამოსილებაშია განსაზღვრული.

დიდი კომპანიისთვის ტიპური სამართველო სტრუქტურა შეიცავს, მაგალითად, აუდიტის კომიტეტს, რისკების კომიტეტს, კანდიდატის წარმდგენ კომიტეტსა და ანაზღაურების კომიტეტს. საბჭოს საჭიროებების შესაბამისად, შესაძლებელია სხვა კომიტეტების არსებობაც. ხშირად რამდენიმე კომიტეტის მოვალეობები ერთმანეთს ემთხვევა.

მიზანი

წინამდებარე დოკუმენტში მოცემულია აუდიტის კომიტეტის (AC) მოსალოდნელი ფუნქციები და მოვალეობები, როდესაც საქმე ეხება:

- მდგრადობის ანგარიშგებას, როგორც ეს განსაზღვრულია ევროკომისიის პროექტში კორპორაციული მდგრადობის ანგარიშგების დირექტივის შესახებ. აღნიშნული დირექტივა, რომელიც ამ დოკუმენტის წერისას ჯერ კიდევ მოლაპარაკების პროცესშია, გააფართოებს აუდიტის კომიტეტის მანდატსა და მოვალეობებს იმისათვის, რომ მოიცვას კომპანიის მდგრადობის ანგარიშგება კომპანიის საბჭოსთვის მხარდასაჭერად;
- აუდიტის კომიტეტებისთვის კორპორაციული მდგრადობის სპეციალური შემოწმების (დიუ დილიჯენსის) მოვალეობის მოსალოდნელ შედეგებს, როგორც ეს წარმოდგენილია ევროკომისიის პროექტში მდგრადი კორპორაციული დიუ დილიჯენსის დირექტივის შესახებ

წინამდებარე დოკუმენტი აუდიტის კომიტეტებისთვის გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით (ESG) პასუხისმგებლობებთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს მოიცავს, რომლებიც ითვალისწინებენ ამ საკანონმდებლო მოთხოვნებსა და დაინტერესებული მხარეების მოლოდინებს, სადაც ყურადღება გამახვილებულია:

- აუდიტის კომიტეტის კომპეტენციებსა და შემადგენლობაზე;
- აუდიტის კომიტეტის გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით ანგარიშგებასთან და რწმუნებასთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობებზე.

პირველ რიგში, დოკუმენტი ხაზს უსვამს კორპორაციის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი ტრანსფორმაციის მიღმა არსებულ ფაქტორებს. შემდეგ იგი განიხილავს სხვადასხვა მმართველობითი ორგანოს ფუნქციებს – მათ შორის საბჭოებს¹, საბჭოს კომიტეტებსა და ხელმძღვანელობას – კომპანიის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი ტრანსფორმაციის წარმართვისას. შემდეგ დოკუმენტი აღწერს აუდიტის კომიტეტების ESG-სთან დაკავშირებულ მანდატს, კომპეტენციებსა და შემადგენლობას. დასკვნით ნაწილში მოცემულია საკითხები, რომლებიც აუდიტის კომიტეტებმა უნდა გაითვალისწინონ თავიანთი გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი პასუხისმგებლობების შესრულებისას.

ჩატომ არის გნივანადოვანი აუდიტის კომიტეტები კლინიკური კოორდინაციული გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით სისტემაზე გარდასწრისთვის?

აუდიტის კომიტეტები უდავოდ მნიშვნელოვანია, იმისათვის, რომ საბჭოებს მხარი დაუჭირონ კომპანიების ESG ტრანსფორმაციისას, რაც აუცილებელია ახალ სტრატეგიულ საჭიროებებზე, საზოგადოებრივ მოლოდინებსა და მარეგულირებელ მოთხოვნებზე რეაგირებისთვის.

აუდიტის კომიტეტი არის საბჭოს კომიტეტი, რომელიც დირექტორთა საბჭოს ხელს უწყობს მოვალეობების შესრულებაში. საბჭო ეყრდნობა აუდიტის კომიტეტებს, რათა დაიცვან ფინანსური ანგარიშგების პროცესის სანდოობა და ზედამხედველობა გაუწიონ სავალდებულო აუდიტს. აქციონერთა და დაინტერესებულ მხარეთა წინაშე საბოლოო ანგარიშვალდებულება რჩება საბჭოს.

აუდიტის კომიტეტს შეიძლება ჰქონდეს სხვა მრავალი პასუხისმგებლობაც, რომლებიც შეესაბამება კომპანიის კორპორაციულ ანგარიშგებას, მათ შორის მდგრადობის ანგარიშგებას. ეს მოიცავს კომპანიის რისკის მართვის სისტემის, შიდა კონტროლისა და შესაბამისობის ზედამხედველობას, გარე აუდიტორების ან სხვა მარწმუნებელი მომსახურების მიმწოდებლების (პროვაიდერების) დანიშვნასა და ზედამხედველობას, ასევე აუდიტორებისა და სხვა მარწმუნებელი პროვაიდერების დამოუკიდებლობის მონიტორინგს.

¹ მოცემულ დოკუმენტში ვიყენებთ კრებით ტერმინს „საბჭოები“, რომელიც მოიცავს როგორც ხელმძღვანელობას, ასევე საზედამხედველო საბჭოებს, ვინაიდან ESG-ის ზედამხედველობა დაკავშირებულია ერთდონიან (უნიტარული) და ორდონიან საბჭოს სტრუქტურებთან. იხილეთ შ. დე მურის საბჭოს ეფექტიანობა: ერთდონიანი და ორდონიანი საბჭოები, 2013-2014, გენტის უნივერსიტეტი.

აუდიტის კომიტეტები ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ იმ ფინანსური რისკების ზედამხედველობაში, რომელთა წინაშე კომპანიები დგანან, განსაკუთრებით თაღლითობისა და შიდა კონტროლის ნაკლოვანებების რისკების ზედამხედველობაში. ამგვარად, აუდიტის კომიტეტები ინვესტორების, კრედიტორების, საქმიანი პარტნიორების, სახელმწიფო სტრუქტურებისა და ფართო საზოგადოების ნდობას უზრუნველყოფენ.²

აუდიტის კომიტეტები უდავოდ მნიშვნელოვანია, რათა მხარი დაუჭიროს საბჭოებს კომპანიების ESG ტრანსფორმაციისას, იმის გათვალისწინებით, რომ მათი ძირითადი ფუნქცია რისკების ზედამხედველობა და სათანადო შიდა კონტროლის არსებობაში დარწმუნებაა. ESG ტრანსფორმაცია მოიცავს უფრო მეტად მდგრად ბიზნეს მოდელზე გადასვლას, რაც მდგრადობის საკითხებს კომპანიის სტრატეგიისა და მართვის განუყოფელ ნაწილად აქცევს. აღნიშნული ტრანსფორმაცია აუცილებელია იმის უზრუნველსაყოფად, რომ კომპანიებმა რეაგირება მოახდინონ ახალ სტრატეგიულ საჭიროებებზე, საზოგადოებრივ მოლოდინებსა და მარეგულირებელ მოთხოვნებზე.

ფაქტორები, რომლებიც არსებობს ESG-ის კორპორაციულ მართვადი ინტეგრაციის მიღება

“კანონმდებლები, ინვესტორები და სხვა დაინტერესებული მხარეები კომპანიებისგან უფრო და უფრო მეტად მოელოან, რომ ექნებათ ESG-სადმი ყოვლისმომცველი მიდგომა, რაც გულისხმობს მდგრადობასთან დაკავშირებული მოსაზრებების სტრატეგიაში, რისკების მართვასა და კომპანიის გადაწყვეტილებებში და კულტურაში ინტეგრაციას. ინვესტორები, თავის მხრივ, სულ უფრო მეტად აფასებენ საქმიანობის შედეგებს როგორც ფინანსური, ასევე მდგრადობის თვალსაზრისით.

ევროკავშირის პროექტი კორპორაციული მდგრადობის ანგარიშების დირექტივის შესახებ (CSRD) კომპანიებს ავალდებულებს წარადგინოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს მდგრადი განვითარების საკითხები მათ საქმიანობაზე და რა გავლენას ახდენს ის ადამიანებსა და გარემოზე. აქედან გამომდინარე, კომპანიებმა უნდა წარადგინონ ინფორმაცია სტრატეგიის, მიზნების, მდგრადობასთან დაკავშირებულ საბჭოების ფუნქციებსა და გარემოსდაცვითი და სოციალური არახელსაყრელი/უარყოფითი გავლენის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია კომპანიასთან და მის ღირებულების ჯაჭვებთან.

კორპორაციული მდგრადი განვითარების ანგარიშების დირექტივა აუდიტის კომიტეტს კომპანიის მდგრადობის ანგარიშების ზედამხედველობასა და წარსადგენ ინფორმაციასთან დაკავშირებულ პროცესებზე პასუხისმგებლობას აკისრებს. აუდიტის კომიტეტმა მდგრადობის ანგარიშების სანდოობის უზრუნველსაყოფად უნდა გამოიყენონ რეკომენდაციები. აუდიტის კომიტეტმა კომპანიის ადმინისტრაციულ ან საზედამხედველო ორგანოს უნდა აცნობოს მდგრადობის ანგარიშებაზე მიღებული რწმუნების შედეგების შესახებ და განუმარტოს, როგორ შეუწყო ხელი მდგრადობის ანგარიშების სანდოობას.

ამავდროულად, ევროკომისიის უახლესი პროექტი მდგრადი კორპორაციული დიუ დილიჯენსის დირექტივის შესახებ (SCDD) კორპორაციებს ავალდებულებს რეაგირება მოახდინონ იმ არახელსაყრელი/უარყოფითი გავლენაზე, რომელიც მათ ოპერაციებსა და ღირებულებების ჯაჭვს შეიძლება ჰქონდეს ადამიანის უფლებებსა და გარემოზე.

ამ პროექტის მიხედვით, კომპანიის დირექტორები პასუხისმგებლები იქნებიან „დიუ დილიჯენსის“ ზომების მიღებასა და ზედამხედველობაზე³, კომპანიის „დიუ დილიჯენსის“ პოლიტიკის დანერგვას⁴ და „დიუ დილიჯენსის“ კორპორაციის მართვის სისტემებში ინტეგრაციაზე. კომპანიის დირექტორებმა აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაცია უნდა მიაწოდონ სამეთვალყურეო საბჭოს. გამოვლენილი ფაქტობრივი ან პოტენციური არახელსაყრელი/უარყოფითი გავლენისა და „დიუ დილიჯენსიდან“ გამომდინარე მიღებული ზომების გათვალისწინებით, დირექტორებს ასევე მოუწევთ კომპანიის სტრატეგიის განახლება.

თავიანთი მოვალეობების შესრულებისას, რათა იმოქმედონ კომპანიის ინტერესების სასარგებლოდ, დირექტორებს ასევე მოეთხოვებათ გაითვალისწინონ თავიანთი გადაწყვეტილებების შედეგები მდგრადობის საკითხებთან დაკავშირებით. ეს მოიცავს ადამიანთა უფლებებს, კლიმატის ცვლილებას და გარემოსდაცვით შედეგებს მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში.

² Tapestry Networks, 2020, აუდიტის კომიტეტის რეალობა: ევროპის წამყვანი საბჭოების შეხედულებები

³ კომპანიებმა ევროკომისიის პროექტის კორპორაციის მდგრადი განვითარების დიუ დილიჯენსის დირექტივის ფარგლებში უნდა განახორციელონ ადამიანის უფლებებისა და გარემოსდაცვითი „დიუ დილიჯენსი“ შემდეგი გზით:

- ა. „დიუ დილიჯენსის“ მათ პოლიტიკაში ინტეგრაციით;
- ბ. ფაქტობრივი ან პოტენციური არახელსაყრელი/უარყოფითი გავლენის იდენტიფიცირებით;
- გ. პოტენციური არახელსაყრელი/უარყოფითი გავლენის თავიდან აცილებითა და შემცირებით და ფაქტობრივი არახელსაყრელი/უარყოფითი გავლენის დასრულებითა და მისი მოცულობის შემცირებით;
- დ. საჩივრის პროცედურების დანერგვითა და შენარჩუნებით;
- ე. მათი „დიუ დილიჯენსის“ პოლიტიკისა და შეფასებების ეფექტიანობის მონიტორინგით;
- ვ. საჯარო კომუნიკაციით „დიუ დილიჯენსთან“ დაკავშირებით.

⁴ კომპანიებს SCDD დირექტივის ფარგლებში მოეთხოვებათ განახორციელონ „დიუ დილიჯენსის“ პოლიტიკა, რომელშიც დეტალურად იქნება აღწერილი (ა) კომპანიის მიდგომა „დიუ დილიჯენსის“ მიმართ, (ბ) ქვეყნის კოდექსი, (გ) „დიუ დილიჯენსის“ დანერგვის პროცესები, მათ შორის ქვეყნის კოდექსთან შესაბამისობის შესამოწმებლად მიღებული ზომები. კომპანიებმა მათი „დიუ დილიჯენსის“ პოლიტიკა ყოველწლიურად უნდა განახლონ.

ბევრი კომპანიისთვის ღირებულების ჯაჭვი რისკების მართვისა და მმართველობის მნიშვნელოვანი ნაწილია. როგორც მნიშვნელოვანი საბჭოს კომიტეტი, აუდიტის კომიტეტი ძირითად როლს შეასრულებს კორპორაციის მდგრადი „დივილიჯენსის“ ხელშეწყობაში.⁵

განმარტავებით, სოციალური და გარემოსდაცვითი სისტემის ინტეგრაცია კორპორაციული გარემოსდაცვითი სისტემის

კომპანიის გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით სისტემაზე სრულად გადასასვლელად საჭიროა გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხები კორპორაციული მართვის ყველა სტრუქტურის ნაწილი გახდეს. წინამდებარე განყოფილება განიხილავს სათანადო და მოქნილი კორპორაციული მართვის სისტემის ზოგიერთ შესაძლო მახასიათებელს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი მიზნებიდან გამომდინარე.

განმარტავებით, სოციალური და გარემოსდაცვითი სისტემა, როგორც საბჭოს სტრატეგიული საკითხი

საბჭოები, საბჭოს კომიტეტების ჩათვლით, სასიცოცხლო მნიშვნელობის როლს ასრულებენ ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის სტრატეგიული ორიენტაციის განსაზღვრასა და საერთო რისკების მართვაში.

საბჭოების მოვალეობაა გამოავლინოს ყველაზე მნიშვნელოვანი რისკები, რომლის წინაშეც კომპანია დგას, მათ შორის გავლენა მის საქმიანობაზე, მედეგობასა და სიცოცხლისუნარიანობაზე.⁶

გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით რისკებს, როგორცაა მაგალითად კლიმატის ცვლილება, შესაძლოა ჰქონდეს არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და სიცოცხლისუნარიანობაზე. ამან, თავის მხრივ, შესაძლოა გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების ისეთ არეაზე, როგორცაა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, აქტივების შეფასება, სამართლიანი ღირებულების შეფასებაზე ან გაუფასურებაზე და ფუნქციონირებაზე საწარმოზე. ინვესტორებს სურთ გაიგონ კომპანიის სტრატეგია და როგორ უმკლავდებიან საბჭოები აღნიშნულ რისკებს. ისინი ეძებენ საიმედო, მაღალი ხარისხისა და საერთაშორისო დონეზე შესაძარის ინფორმაციას, იმის შესახებ თუ როგორ იმოქმედებს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი სისტემა, გრძელვადიანი ბიზნესის მდგრადობაზე, ასევე მაჩვენებლებს, რომელიც აჩვენებს დასახული მიზნების პროგრესს და როგორ ხდება მისი შედარება მსგავს კომპანიებთან.

მნიშვნელოვანია, რომ საბჭოებმა და საბჭოს კომიტეტებმა სრულად მოახდინონ გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი რისკების, გავლენებისა და შესაძლებლობების ინტეგრაცია ბიზნესის სტრატეგიასა და საქმიანობაში, მიწოდების ჯაჭვსა და საწარმოს რისკების მართვაში.⁷ სწორედ ამიტომ საბჭოებს უნდა ჰქონდეთ სათანადო აღჭურვილობა და მხარდაჭერა შესაბამისი მმართველობითი მექანიზმებისგან. საბჭოს უნარებისა და შემადგენლობის განახლება და იმის უზრუნველყოფა, რომ ხელმძღვანელობა დაამკვიდრებს კარგ შიდა პრაქტიკას და საკონტროლო ფუნქციებს, იქნება ძირითადი, ორგანიზაციული გადაწყვეტილებისთვის ყოვლისმომცველი გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი მიდგომისთვის.

განმარტავებით, სოციალური და გარემოსდაცვითი სისტემა საბჭოს კომიტეტებსა და კომპანიის ფუნქციონირებაში

გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი რისკების, გავლენებისა და შესაძლებლობების კორპორაციული მართვა სტანდარტული ბიზნესის პრაქტიკა უნდა იყოს. საბჭოს ხელმძღვანელობით, ESG რისკების მართვა და ზედამხედველობა უნდა იყოს როგორც ზედა დონის ხელმძღვანელი პირების, ისე სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტების ძირითადი პასუხისმგებლობა.⁸ აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს აუდიტის, რისკისა და ანაზღაურების კომიტეტებს.⁹

ვინაიდან გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი სისტემა სექტორებსა და კომპანიებზე განსხვავებულად მოქმედებს, თითოეულ კომპანიას დასჭირდება გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი სისტემის ინტეგრაციის საკუთარი საშუალება, რომელიც შესაფერისი იქნება მის ბიზნესმოდელთან და გარემოებებთან.

გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი რისკების მართვის ერთობლივი მიდგომა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. კომიტეტის სტრუქტურის მიუხედავად, თანამშრომლობა წინ უნდა უძღოდეს ბიზნესის ESG რისკფაქტორის ყოვლისმომცველ მიმოხილვას, რაც ხელს შეუწყობს ESG-ის ინტეგრაციას ბიზნესის სტრატეგიასა და კულტურაში. რამდენიმე საბჭოს კომიტეტში წევრობა ხელს შეუწყობს ასეთ თანამშრომლობით მიდგომას, რაც უზრუნველყოფს იდეებისა და ინიციატივების გაცვლას.

⁵ Accountancy Europe-ecoDa, 2021, Event Report *Driving the evolution of sustainable corporate governance Reflections on the future role of audit committees*

⁶ ecoDa, 2021, *Corporate Governance Guidance and Principles for Unlisted Companies in Europe*

⁷ ecoDa 2021, *A practical guide for boards and leadership teams on sustainability*

⁸ Ashley, J. et al., 2021, *ESG Governance: Board and Management Roles & Responsibilities*, p. 4.

⁹ მაგალითად, SCDD პროექტის დირექტივა დირექტორების ცვლად ანაზღაურებას აკავშირებს კლიმატის ცვლილების ვალდებულებებთან; შესაბამისად, ანაზღაურების კომიტეტის როლი განსაკუთრებით აქტუალური ხდება.

ESG-ის მოთხოვნილებების შესაფერისი პრაქტიკა

გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით რისკებსა და გავლენებზე რეაგირება მოითხოვს უნარების განვითარებას, მათ შორის საბჭოსა და კომიტეტის დონეზე. ეს გულისხმობს, რომ საბჭოებისა და საბჭოს კომიტეტების უფლებამოსილება, კომპეტენციები, გამოცდილება და სამუშაო გეგმა უნდა განვითარდეს, რათა ESG გახდეს ფართო სტრატეგიის ნაწილი.¹⁰

ეს შეიძლება გულისხმობდეს საბჭოსა და კომიტეტების შემადგენლობის, მრავალფეროვნებისა და პროფილების მიმოხილვას¹¹ იმის უზრუნველსაყოფად, რომ მათ წევრებს ჰქონდეთ საჭირო ცოდნა, გამოცდილება და ხედვა ცვალებად ბიზნეს-რეალობებსა და მოთხოვნებზე საპასუხოდ. მმართველობა დინამიკური პროცესია, რომლის ფარგლებშიც საჭიროა პროაქტიულობა, ინოვაცია, უნარების განვითარება და ძლიერი კორპორაციული კულტურა, რაც დაეხმარება ბიზნესს გაუმჯობესოს ცვლილებებსა და კრიზისს.

აუდიტის კომპეტენციის როლი ESG-ის პრაქტიკაში

კომპანიის გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით სისტემაზე გადასასვლელად ძირითადი პასუხისმგებლობა ეკისრება ზედა დონის ხელმძღვანელობასა და საბჭოებს. უმაღლეს ხელმძღვანელობაზე დამოკიდებული კონცენტრირდეს მდგრად ეკონომიკაზე და განსაზღვროს, თუ როგორ შეუძლია კომპანიის ხედვას, სტრატეგიასა და ყოველდღიურ ოპერაციებს წვლილი შეიტანონ ამ გადასვლაში.

მათი კორპორაციული ანგარიშგებისა და რისკის ზედამხედველობის პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, აუდიტის კომიტეტები ამ პროცესში მნიშვნელოვან საყრდენ როლს შეასრულებენ, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება ანგარიშის წარდგენას ESG-სთან დაკავშირებულ საკითხებზე¹². მაგალითად, CSRD პროექტის მიხედვით, აუდიტის კომიტეტმა:

- მონიტორინგი უნდა გაუწიოს კომპანიის მდგრადობის ანგარიშგებას და მასთან დაკავშირებულ პროცესებს, შესაბამისი მდგრადობის ანგარიშგების სტანდარტების მიხედვით წარდგენილი ინფორმაციის იდენტიფიცირებისათვის;
- უნდა გასცეს რეკომენდაციები მდგრადობასთან დაკავშირებული ინფორმაციის სანდოობისთვის;
- განმარტოს როგორ შეუწყოს ხელი მდგრადობის ანგარიშგების სანდოობას და რა იყო მისი როლი ამ პროცესში;
- მონიტორინგი უნდა გაუწიოს კომპანიის შიდა კონტროლის, რისკის მართვის სისტემებისა და მისი შიდა აუდიტის ფუნქციის ეფექტიანობას, განსაკუთრებით თაღლითობისა და „გრინვოშინგის“ (greenwashing) კუთხით;
- მონიტორინგი უნდა გაუწიოს ყოველწლიურ და კონსოლიდირებულ მდგრადობის ანგარიშგების რწმუნებას;
- კომპანიის ადმინისტრაციულ ან საზედამხედველო ორგანოს ინფორმაცია უნდა მიაწოდოს მდგრადობის ანგარიშგების რწმუნების შესახებ;
- უნდა მიმოხილოს და მონიტორინგი გაუწიოს სავალდებულო აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების დამოუკიდებლობას.

ESG უნდა გახდეს აუდიტის კომიტეტის უფლებამოსილების განმსაზღვრელი დოკუმენტის ნაწილი, რადგან ფინანსური და მდგრადობის ანგარიშგება ურთიერთდაკავშირებულია. აუდიტის კომიტეტის წევრებს მათი უნარები საშუალებას აძლევს დაინახონ კავშირი ESG საკითხების, კაპიტალის ბაზრებისა და კორპორაციის ფინანსებს შორის. ეს მნიშვნელოვანი იქნება ბიზნესთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი რისკების, მათ შორის ახლად წარმოშობილი რისკების იდენტიფიცირებისათვის და საბჭოებს დაეხმარება საერთო ბიზნესის სტრატეგიის შესაბამისობაში მოყვანაში.

ბიზნესის რისკების, რისკის მართვის სისტემების, შიდა კონტროლის, კორპორაციული ანგარიშგებისა და აუდიტის წყალობით, აუდიტის კომიტეტებს აქვთ შესაძლებლობა მხარი დაუჭირონ საბჭოებს მდგრადობის ანგარიშგებითა და რწმუნებით. ეს პასუხისმგებლობა ნიშნავს, რომ აუდიტის კომიტეტებს უნდა შეეძლოს იმის ჩვენება, თუ როგორ ერგება ESG კომპანიის სტრატეგიას, მიზანსა და დაინტერესებული მხარეების მოთხოვნებს.

ქვემოთ მოცემულია რეკომენდაციები, რაც აუდიტის კომიტეტებს დაეხმარება გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი პასუხისმგებლობების მართვაში.

¹⁰ Tapestry Networks, 2022, European Audit Committee Leadership Network, [ESG Governance](#), p. 4-5

¹¹ Ibid (იგივე წყარო)

¹² Tapestry Networks, 2020, [Audit Committee Realities: Insights from Europe's leading boards](#)

ჩემი პირადი გამოცდილება: აუდიტის კომიტეტის ESG მანდატი, კომპანიისთვის და შედეგები

1. საკომუნიკაციო უნარების გამოყენება ESG გამოწვევის დასაქმებად

ძირითადი საკომუნიკაციო/სოციალურ-ემოციური უნარები (soft skills) აუდიტის კომიტეტებს დაეხმარება ESG პასუხისმგებლობების შესრულებაში. ეს მოიცავს კრიტიკულ აზროვნებას, მოკვლევის უნარს, სეპტიციზმს, სტატუსკოს შეცვლის უნარს, არასასიამოვნო კითხვების დასმის მორალურ გამბედაობას. საკომუნიკაციო/სოციალურ-ემოციურმა უნარებმა აუდიტის კომიტეტებს უნდა მისცეს შესაძლებლობა გამოიწვიონ ხელმძღვანელობა და ექსპერტები, როგორც კომპანიის სისტემებსა და პროცესებში ESG-ის დანერგვასთან, ასევე მასთან დაკავშირებული საქმიანობის ძირითად მაჩვენებლებთან (KPI) მიმართებით.

გამოკითხვა, განიხილება თუ არა და როგორ განიხილება კლიმატის კატასტროფული ცვლილება კომპანიის გაუფასურების შემთხვევებისას, ან არის თუ არა ESG-სთან დაკავშირებული საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები ადეკვატური, არის იმ გამოწვევების მაგალითები, რომელთა წინაშეც აუდიტის კომიტეტები შეიძლება აღმოჩნდნენ. აუდიტის კომიტეტებს ხელი უნდა შეეწყოს, ხელმძღვანელობასთან ერთად, კომპანიისთვის, შეისწავლონ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები. ეს აგრეთვე უნდა ეხებოდეს, იმასაც გათვალისწინებული იყო თუ არა და როგორ იყო გათვალისწინებული კომპანიაზე კლიმატთან დაკავშირებული არსებითი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაში და როგორია შეფასებები და დაშვებები და გამოვლენილია თუ არა პოტენციური გრინვოშინგის რისკები.

“*აუდიტის კომიტეტები მზად უნდა იყვნენ რთული საუბრების დასაწყებად [...] ამ მხარეებთან ნდობის, ურთიერთობებისა და კომუნიკაციის ღია საზღვრების ჩამოყალიბება გადამწყვეტი იქნება საკითხების გამოკვლევისა და გადაჭრისათვის.*”

ESG-სთან დაკავშირებული გამოწვევები ასევე ნიშნავს, რომ აუდიტის კომიტეტები უნდა მოემზადონ საბჭოებთან, საბჭოს კომიტეტებთან, შიდა და გარე აუდიტორებთან, ხელმძღვანელობასთან და, პოტენციურად/შეძლებისდაგვარად, მარეგულირებელ ორგანოებთან და ინვესტორებთან რთული საუბრების დასაწყებად. ამ მხარეებთან ნდობის, ურთიერთობებისა და კომუნიკაციის ღია საზღვრების ჩამოყალიბება გადამწყვეტი იქნება საკითხების გამოკვლევისა და გადაჭრისათვის. ეს აუცილებელია აუდიტის კომიტეტების ეფექტიანი მუშაობისთვის.

2. ESG-ის შესახებ სოფინსა და გამოყვანილ მართვას

“*აუდიტის კომიტეტებმა, განგრძობითი სწავლებით, პროაქტიულად უნდა გაიდრმაგონ გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით საკითხებთან დაკავშირებული ცოდნა*”

აუდიტის კომიტეტის უნარები და გამოცდილება აგრეთვე უნდა განვითარდეს გარემოსდაცვითი დეგრადაციის რეალობის, მარეგულირებელი ორგანოებისა და დაინტერესებული მხარეების მოლოდინების გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, აუდიტის კომიტეტებმა, განგრძობითი სწავლებით, პროაქტიულად უნდა გაიდრმაგონ ESG საკითხებთან დაკავშირებული ცოდნა. ეს შეიძლება მოიცავდეს გარე ან შიდა ექსპერტების მოწვევას. ასევე შეიძლება მიზანშეწონილი იყოს იმის უზრუნველყოფაც, რომ აუდიტის კომიტეტის ერთ წევრს მაინც ჰქონდეს გამოცდილება ESG-ის შეფასებასა და ანგარიშგებაში; ბუღალტრული აღრიცხვის ან აუდიტის შესახებ ცოდნის მოთხოვნების მსგავსად.

პროფესიონალ ბუღალტრთა ინსტიტუტის კვალიფიკაციები და სხვა მასზე მორგებული ინიციატივები შეიძლება ასევე დაეხმაროს აღმასრულებელ და არააღმასრულებელ დირექტორებს გააუმჯობესონ ბიზნესის შესაფერისი ESG უნარები, ამ საკითხებზე საბჭოს სხდომათა ოთახში დისკუსიების წარსამართად.

3. აუდიტორებთან თანამშრომლობა ESG-სთან დაკავშირებით

აუდიტის კომიტეტების ერთ-ერთი მოვალეობა აუდიტორებთან თანამშრომლობაა. ორ მხარეს შორის ეფექტიანი თანამშრომლობა, როდესაც ასევე დაცულია დამოუკიდებლობა, სასარგებლოა არა მხოლოდ აუდიტორისა და აუდიტის კომიტეტისთვის, არამედ კომპანიისთვის, ინვესტორებისა და ფართო საზოგადოებისთვისაც.

“*აუდიტის კომიტეტებმა, ESG რისკებისა და ESG ანგარიშგებაში ჩართული აუდიტორული პროცესების გამოსავლენად, შიდა და გარე აუდიტორებთან მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ. ეს ხელს შეუწყობს მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული ინფორმაციის სანდოობას.*”

ESG-ზე ინვესტორების გაზრდილი ყურადღებით, მდგრადობა თანდათან ინტეგრირდება კომპანიის მართვაში, სტრატეგიაში, შიდა კონტროლსა და ანგარიშგებაში. მასასადამე, აუდიტის კომიტეტები, ფინანსური დირექტორები და ფინანსური ჯგუფები იყენებენ ფინანსური და მდგრადობის ანგარიშგების ინტეგრირებულ მიდგომას.

კომპანიებისთვის ფინანსური და მდგრადობის ანგარიშების დაკავშირება მნიშვნელოვანია, რათა მიიღონ უკეთესი გადაწყვეტილებები და თავიდან აიცილონ შეუსაბამოების რისკები და ორ ანგარიშს შორის ხარვეზები. ეს ასევე ხელს შეუწყობს მდგრადობასთან დაკავშირებული მოსაზრებების ინტეგრაციას კომპანიების მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ამგვარად, აუდიტის კომიტეტებმა უნდა ასახონ ურთიერთკავშირი მათი მდგრადობისა და ფინანსური ანგარიშების პასუხისმგებლობებს შორის, კომპანიის რწმუნების საჭიროებების მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში¹³.

როდესაც მდგრადობის ანგარიშებაზე რწმუნების მიღება დაინერგება, აუდიტის კომიტეტები უნდა ჩაერთონ მარწმუნებელი პროვაიდერის შერჩევაში, მათი დამოუკიდებლობისა და სამუშაოს მონიტორინგში, აუდიტორული დასკვნის ჩათვლით. აუდიტის კომიტეტი უნდა დარწმუნდეს, რომ აუდიტორული მომსახურების გამწვევს აქვს სათანადო გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი კომპეტენცია და შესაბამისი აუდიტორული პროცესების სათანადო ცოდნა.

აუდიტის კომიტეტმა გარე რწმუნების პროვაიდერს უნდა გაუცვალოს კომპანიის რისკებთან, მათ შორის ESG რისკებთან დაკავშირებული ინფორმაცია. მან უნდა შეაფასოს და საბჭოს წარუდგინოს შესაბამისობა და შიდა აუდიტის ფუნქციების ქმედებები ESG საკითხებთან მიმართებით.

აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარეებზე ხელი უნდა შეაწესოს ESG-სთან დაკავშირებულ ღია განხილვას

“კერძოდ, ESG-ის კონტექსტში, აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარემ უნდა გამოიჩინოს ხელმძღვანელობის უნარი, რათა ხელი შეუწყოს აუდიტის კომიტეტის წევრებს მიიღონ გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი პასუხისმგებლობები. აქედან გამომდინარე, თავმჯდომარემ უნდა გამოავლინოს თავისი ცოდნა და გამოცდილება ამ საკითხების დაძლევის პროცესში.

აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარემ მიზნად უნდა დაისახოს თავისუფალი კულტურის შექმნა, რომელშიც აუდიტის კომიტეტის წევრები თავს კომფორტულად იგრძნობენ რთული კითხვების დასმისას და თავისუფლად ისაუბრებენ ESG-სთან დაკავშირებულ საკითხებზე. თავმჯდომარემ უნდა უზრუნველყოს აუდიტის კომიტეტის წევრების სრული ჩართულობა და, რომ მათ ჰქონდეთ საკმარისი დრო მომზადებისა და განხილვისთვის.

აზრთა სხვადასხვაობა მნიშვნელოვანია ორგანიზაციის სწორი მიმართულებით წარმართვისთვის. აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარემ უნდა მოიძიოს აუდიტის კომიტეტის ყველა წევრის ხედვა იმ საფრთხეებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ორგანიზაციის ESG მიზნების მიღწევაში. აღნიშნული მოიცავს გაგებას, თუ როგორ ამზადებს და უმკლავდება ხელმძღვანელობა ESG გამოწვევებსა და შესაძლებლობებს იმის უზრუნველყოფით, რომ ორგანიზაცია აკმაყოფილებს დაინტერესებული მხარეების ცვალებად საჭიროებებსა და მოლოდინებს. ეს აგრეთვე გულისხმობს, რომ დასაკმებულთა წარმომადგენლებთან ურთიერთობა შეიძლება აუდიტის კომიტეტისთვის განსაკუთრებით ხელსაყრელი იყოს.

დაეაბინოთ ინსტრუქციები აუდიტის კომიტეტებისთვის გაკეთდასა და სოციალურ და მმართველობით სისტემებში თავიანთი ფუნქციების შესასრულებლად

კომპანიებმა აუდიტის კომიტეტებს გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით საკითხებში, რისკებში, ანგარიშგებასა და მარწმუნებელ მომსახურებაში გამოცდილების გასაუმჯობესებლად ტრენინგები უნდა შესთავაზონ. ამგვარი ტრენინგები განსაკუთრებით სასარგებლოა აუდიტის კომიტეტების ESG-ზე მუშაობის საწყის ეტაპზე. როგორც კომპანიიდან, ასევე გარე ექსპერტებისგან გაღებული ძალისხმევა ტრენინგს ღირებულებას შემატებს. აუდიტის კომიტეტის წევრებს ასევე უნდა მიეცეთ რეკომენდაცია მონაწილეობა მიიღონ კონკრეტულ ტრენინგებში, რომელიც შეეხება კომპანიის სტრატეგიაში ESG-ის ინტეგრაციას.

ხელმძღვანელობამ, თავის მხრივ, შესაბამისი და უახლესი ინფორმაცია და მონაცემები დროულად უნდა გახადოს ხელმისაწვდომი, რათა აუდიტის კომიტეტის წევრებს დაეხმარონ შესაბამისი გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების გამოვლენაში. აღნიშნული ინფორმაცია, უნდა მოიცავდეს მდგრადობის ანგარიშში ასახული ინფორმაციის მოპოვებისა და მომზადებისას გამოყენებული მართვის პროცესის აღწერას, ასევე გამოყენებული წესებისა და პრინციპების, რისკის მართვის სისტემების და კონტროლის გარემოს, ასევე ნებისმიერ შესაბამისი სირთულეების, შეფასებებისა და დაშვებების შესახებ ინფორმაციას. აუდიტის კომიტეტს უნდა ჰქონდეს წვდომა როგორც ანგარიშგების სისტემაზე, იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ხდება ESG-ის საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლების მონიტორინგი, ასევე დროთა განმავლობაში მათი განვითარების პროცესზე და წინსვლაზე დასახული მიზნების მისაღწევად.

¹³ Accountancy Europe, 2020, *Setting up for high-quality non-financial information assurance in Europe*

ძირითადი საკითხები: აუდიტის კომიტეტების გაძლიერებული პასუხისმგებლობები გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით საკითხებზე

წინამდებარე განყოფილება წარმოგიდგინთ კითხვებს, რომლებიც დაყოფილია პასუხისმგებლობების სფეროების მიხედვით, რათა დაეხმაროს აუდიტის კომიტეტებს ESG პასუხისმგებლობების გაძლიერებაში. ეს კითხვები მიზნად ისახავს აუდიტის კომიტეტის სამუშაოს წარმართვაში ხელშეწყობას.

შიდა კონტროლი და რისკის მართვის სისტემები

საიმედო ESG მონაცემების უზრუნველყოფა, როგორც ფინანსური ანგარიშგების შემთხვევაში, გულისხმობს პროცესების, სისტემების, შიდა კონტროლისა და რისკის მართვის სისტემების დანერგვას. აუდიტის კომიტეტები უნდა დარწმუნდნენ შესაბამისი შიდა კონტროლის არსებობაში, რათა მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული მოსაზრებები გააზრებული იყოს კომპანიის ყველა დონეზე და განხორციელდეს საქმიანობის ყველა მიმართულებაში.

კომპანიის შიდა კონტროლისა და რისკის მართვის სისტემების ეფექტიანობის მონიტორინგისთვის აუდიტის კომიტეტებმა უნდა განიხილონ ქვემოთ მოცემული საკითხები:
არსებობს კომპანიაში ეფექტიანი სისტემები მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული ინფორმაციის იდენტიფიცირებისთვის, შეგროვებისთვის, ანალიზისა და წარდგენისთვის, ასევე ფინანსური რისკისა და ანგარიშგებაზე გავლენის შესახებ ინფორმაციის ჩათვლით?
არის კონტროლის გარემო მდგრადობის მაჩვენებლებისა და საკონტროლო მიზნების ჩამოყალიბებისათვის ისეთივე ძლიერი, როგორც ფინანსური მაჩვენებლების კონტროლის სისტემების, მიზნებისა და ანგარიშგების შემთხვევაში?
როგორ უზრუნველყოფს ხელმძღვანელობა რისკის მართვისა და შიდა კონტროლის ეფექტიანობას, როდესაც საქმე ეხება ESG-ს? არსებობს სუსტი მხარეები და რა კუთდება მათ გამოსასწორებლად?
შეუძლია აუდიტის კომიტეტს დარწმუნებული იყოს, რომ ხელმძღვანელობის პასუხები ზემოთ მოცემულ კითხვებზე საიმედოა?
ახორციელებს კომპანია ყოვლისმომცველ შერბილებების პროცესებს სოციალური და გარემოსდაცვითი უარყოფითი გავლენების შესამცირებლად საკუთარ ოპერაციებსა და ღირებულების ჯაჭვებში?
როგორ შეუძლია აუდიტის კომიტეტს მხარი დაუჭიროს ახალი მდგრადი კორპორაციული „დიუ დილიჯენსის“ შეფასების საზომებთან შესაბამისობას, რომლებიც კომპანიამ უნდა დაიცვას? ¹⁴

რისკის სცენარის ანალიზი

აუდიტის კომიტეტს ასევე შეუძლია საბჭოებისა და ხელმძღვანელობის დახმარება მედეგობის დაგეგმვასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი რისკების ზედამხედველობაში, გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი რისკების პოტენციურად მნიშვნელოვანი ფინანსური გავლენის გათვალისწინებით. ამ მიზნით, აუდიტის კომიტეტმა უნდა განიხილოს შემდეგი საკითხები:
როგორია კომპანიის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი რისკებზე დაქვემდებარების ხელმძღვანელობისეული გავება – მისი ალბათობა და გავლენა მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში?
როგორ აფასებს ხელმძღვანელობა ბიზნესის მოდელის სიცოცხლისუნარიანობას, მათ შორის მონაცემთა ანალიზსა და შემოწმებას, მოდელში მოცემული ინფორმაციის სანდოობის უზრუნველსაყოფად?
როგორ აფასებს ხელმძღვანელობა ფიზიკურ ¹⁵ , ადამიანურ ¹⁶ და გარდამავალ ¹⁷ რისკებსა და მათ შესაძლო გავლენას?

¹⁴ კომპანიებმა SCDD დირექტივის ფარგლებში უნდა განახორციელონ „დიუ დილიჯენსისთან“ დაკავშირებული მოქმედებები და უნდა იქონიონ „დიუ დილიჯენსის“ პოლიტიკა, რომელშიც დეტალურად იქნება აღწერილი (ა) კომპანიის მიდგომა „დიუ დილიჯენსის“ მიმართ, (ბ) ქვეყნის კოდექსი, (გ) „დიუ დილიჯენსის“ დანერგვის პროცესები, მათ შორის ქვეყნის კოდექსთან შესაბამისობის შესამოწმებლად მიღებული ზომები. კომპანიის დირექტორები პასუხისმგებლები იქნებიან „დიუ დილიჯენსის“ ზომებისა და „დიუ დილიჯენსის“ პოლიტიკის მიღებასა და ზედამხედველობაზე და საბჭოსთან წარდგენაზე.

¹⁵ “ფიზიკური რისკები მოიცავს კლიმატის ცვლილების შედეგად გამოწვეულ რისკებს, მათ შორის ნაგებობებისა და ინფრასტრუქტურის რისკებს, გავლენას ოპერაციებზე, წყლისა და ნედლეულის ხელმისაწვდომობაზე და მიწოდების ჯაჭვის შეფერხებაზე.” IPCC ანგარიში (2020), https://www.ipcc.ch/site/assets/uploads/2021/02/Risk-guidance-FINAL_15Feb2021.pdf

¹⁶ “შესაბამისი უარყოფითი შედეგები მოიცავს სიცოცხლეს, საარსებო საშუალებებს, ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ აქტივებსა და ინვესტიციებს, ინფრასტრუქტურას, მომსახურებას (ეკოსისტემის მომსახურების ჩათვლით), ეკოსისტემებსა და სახეობებს.” IPCC ანგარიში (2020), https://www.ipcc.ch/site/assets/uploads/2021/02/Risk-guidance-FINAL_15Feb2021.pdf

¹⁷ “გადასვლის რისკები, როგორც წესი ეხება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია დაბალი ნახშირბადის ეკონომიაზე. დაბალი ნახშირბადის ეკონომიაზე გადასვლას, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული შერბილებისა და ადაპტაციის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, შესაძლოა მოჰყვას დიდი მეთოდოლოგიური, იურიდიული, ტექნოლოგიური და საბაზრო ცვლილებები. ამ ცვლილებების ბუნებაზე, სისწრაფესა და მიმართულებაზე დაყრდნობით, გადასვლის რისკებმა ორგანიზაციებისთვის შესაძლოა გამოიწვიოს ფინანსური და რეპუტაციული რისკები.”, IPCC ანგარიში (2020), https://www.ipcc.ch/site/assets/uploads/2021/02/Risk-guidance-FINAL_15Feb2021.pdf

ESG-ისთან დაკავშირებული მასაჟლაშენაბელი ინფორმაცია

მოსალოდნელია, რომ კორპორაციული ანგარიშგება ინვესტორებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს დაეხმარება გაიგონ, როგორ იმართება კომპანია, მისი სამუშაო გარემო და როგორ უმკლავდება იგი სტრატეგიულ რისკებსა და შესაძლებლობებს. აუდიტის კომიტეტები მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ ESG-ის ანგარიშგების ხარისხის უზრუნველყოფაში, ისევე როგორც იმაში, რომ არ ჩამორჩეს მდგრადობის ანგარიშგების განვითარებად წესებსა და მოლოდინებს.

აუდიტის კომიტეტის ცოდნა და გამოცდილება ფინანსური ანგარიშგების სანდოობის უზრუნველსაყოფად ნიშნავს, რომ მათ აქვთ შესაძლებლობა შეაფასონ ESG-ის გასამყდვენებელი ინფორმაცია. მათ შეუძლიათ ხელი შეუწყონ განისაზღვროს, საკმარისად ეფექტიანია თუ არა კომპანიის შიდა კონტროლი, პროცესები და პროცედურები წარდგენილი ინფორმაციის სიზუსტის, საიმედოობის, თავსებადობისა და ხარისხის უზრუნველსაყოფად.

აუდიტის კომიტეტებმა ESG-ის ანგარიშში გასამყდვენებელი ინფორმაციის საიმედოობის უზრუნველსაყოფად უნდა განიხილონ ქვემოთ მოცემული საკითხები:
რა პოლიტიკა და მეთოდოლოგია გამოიყენება მაჩვენებლების შესამყმავებლად ESG-ისთან დაკავშირებული ინფორმაციის სიზუსტის, საიმედოობისა და თავსებადობის უზრუნველსაყოფად?
აქვს კომპანიის ხელმძღვანელობას ცოდნა და გამოცდილება, განსაზღვროს რომელი მაჩვენებლებია ყველაზე შესაფერისი კომპანიის სექტორისა და მისი საქმიანობის, გარემოებებისა და იმ რისკებისთვის, რომლის წინაშეც კომპანია დგას? შესაფერისია თუ არა ხელმძღვანელობის მიერ დადგენილი საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები
როგორ შეიძლება აუდიტის კომიტეტი დარწმუნდეს, რომ ხელმძღვანელობის პასუხები ზემოთ მოცემულ კითხვებზე საიმედოა? არსებობს თუ არა რაიმე საჭიროება შიდა ან/და გარე რწმუნებისათვის
როგორ აფასებს აუდიტის კომიტეტი ESG-ის, არაფინანსური და ფინანსური რისკების ურთიერთკავშირს? მუშაობს თუ არა ხელმძღვანელობის გეგმა შესაბამისად? არის თუ არა აღნიშნული ურთიერთკავშირი სწორად წარდგენილი
ახორციელებს აუდიტის კომიტეტი ზედა დონის ხელმძღვანელი პირების მონიტორინგს დაიცვან კომპანიის რისკის ზღვარი? როგორ შეუძლია აუდიტის კომიტეტს გაითვალისწინოს დაინტერესებული მხარეების ინტერესები შესაბამისი ფაქტორების განსაზღვრისას?
არსებობს თაღლითობის პოტენციური რისკი, რომელიც უკავშირდება დირექტორების ცვლადი ანაზღაურების ¹⁹ კავშირს მდგრადობის მიზნების მიღწევასთან?

ESG-ის ჩვენება

კომპანიები, რომლებიც იცავენ CSR-ს, მოსალოდნელია, რომ მოიძიებენ მდგრადობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გარე რწმუნებას. აუდიტის კომიტეტის მდგრადობის რწმუნებასთან დაკავშირებული ამოცანები მოიცავს:
ყოველწლიური და კონსოლიდირებული მდგრადობის ანგარიშგების რწმუნების მონიტორინგს
შეფასებას იმისა, არსებობს თუ არა სათანადო კონტროლის საშუალებები ანგარიშგებების შესაბამისობის უზრუნველსაყოფად
ადმინისტრაციული ან საზედამხედველო ორგანოს ინფორმირებას მდგრადობის ანგარიშგების რწმუნების შედეგებთან დაკავშირებით
სავალდებულო აუდიტორების ან აუდიტის დამოუკიდებლობის მიმოხილვასა და მონიტორინგს
აუდიტის კომიტეტებმა უნდა განიხილონ ESG-ის რწმუნების საერთო პასუხმგებლობებთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:
როგორ ახერხებს აუდიტის კომიტეტი არ ჩამორჩეს შესაბამის იურიდიულ, მარეგულირებელ და სხვა საკითხებს, რომლებიც უკავშირდება ESG რწმუნებას?
რა ფაქტორები უნდა გაითვალისწინოს აუდიტის კომიტეტმა მდგრადობის რწმუნებისთვის შესაფერისი მომსახურების პროვაიდერის შერჩევისას?
როდესაც გარე აუდიტორი არსებობს, როგორ გაუწევს აუდიტის კომიტეტი ზედამხედველობას შიდა და გარე აუდიტორებს შორის ურთიერთობას და ამგვარი რწმუნების სასურველი სტანდარტით განხორციელებას?
როგორ შეიძლება დარწმუნდეს აუდიტის კომიტეტი, რომ აუდიტორებს აქვთ საჭირო კომპეტენცია გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი რისკების მართვისა და მდგრადობის ანგარიშგების რწმუნების უზრუნველსაყოფად?
რა ფაქტორები უნდა გაითვალისწინოს აუდიტის კომიტეტმა მდგრადობის ანგარიშგების რწმუნების მონიტორინგისას? მაგალითად, არსებობს აუდიტორსა და აუდიტის კომიტეტს შორის საკმარისი კომუნიკაცია?
როგორ შეუძლია აუდიტის კომიტეტს უზრუნველყოს გარე აუდიტორის ყურადღება გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით ძირითად რისკებზე?
როგორ შეუძლია აუდიტის კომიტეტს ხელი შეუწყოს კომპანიის „დიუ დილიჯენსის“ ეფექტიან მონიტორინგს? ²⁰

¹⁹ SCDD დირექტივის პროექტი კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ კომპანიის ვალდებულებებს აკავშირებს დირექტორების ცვლად ანაზღაურებასთან (იხილეთ მე-15 მუხლი).

²⁰ SCDD დირექტივის ფარგლებში არსებულმა კომპანიებმა უნდა განახორციელონ მათი „დიუ დილიჯენსის“ ზომების დანერგვისა და ეფექტიანობის მონიტორინგი.

როგორ შეუძლია აუდიტის კომიტეტს აუდიტორის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა?
როგორ შეუძლია შიდა აუდიტს დამატებითი მოსაზრებებისა და წინდახედულობის უზრუნველყოფა?
არის შიდა აუდიტი სათანადო რესურსებით აღჭურვილი ESG-ის დამატებით აუდიტზე რეაგირებისთვის?
როგორ შეუძლია რწმუნებას ²¹ კომპანიის „დიუ დილიჯენსის“ სამუშაოები მეტად საიმედო და ეფექტიანი გახადოს ²² ?

სხვა განათვალისწინებადი საკითხები

როგორ რწმუნდება აუდიტის კომიტეტი, რომ მოქმედებები მოჰყვება ანგარიშგებას? როგორ შეუძლიათ აჩვენონ შესაბამისი ხედვები და დააწესონ კულტურისადმი შესაბამისი ტონი.
როგორ შეუძლიათ აუდიტის კომიტეტებს საბჭოების დახმარება კომპანიის მიზნის განსაზღვრასა და შესრულებაში? ²³
როგორ და რა მოცულობით შეუძლია აუდიტის კომიტეტს „გრინვოშინგის“ თავიდან აცილება?
როგორ შეუძლია აუდიტის კომიტეტს იმის უზრუნველყოფაში დახმარება, რომ აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული ESG რისკები მოგვარებულია?

საგჟოსთვის ინფორმაციის მიწოდება

აუდიტის კომიტეტმა საბჭოს რეგულარულად უნდა მიაწოდოს ESG-ის მართვასთან დაკავშირებული ინფორმაცია და მოსაზრებები, მათ შორის რეკომენდაციებიც. ეს საბჭოს შესაბამისი ზომების მიღების შესაძლებლობას მისცემს.

აუდიტის კომიტეტმა ასევე უნდა წარადგინოს საქმიანობის ყოველწლიური ანგარიში, როგორ მიაღწია მიზნებს, რა გამოწვევების წინაშე დადგა და როგორ გაუმკლავდა მათ.

დასკვნითი შენიშვნები

აუდიტის კომიტეტები უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებენ საბჭოების დახმარებაში, რომ კომპანიებს მდგრადობისკენ მიმართულება მისცენ. მოცემულ დოკუმენტში განვიხილეთ გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით სფეროში აუდიტის კომიტეტების გაძლიერებული პასუხისმგებლობები და წინ წამოვიწიეთ ის რეკომენდაციები, რომლებიც მათ ამ ფუნქციების განხორციელებაში დაეხმარებათ. ვიმედოვნებთ, რომ დოკუმენტი ძირითად დაინტერესებულ მხარეებს შორის დისკუსიასა და დიალოგს გამოიწვევს.

პასუხისმგებლობის გამორიცხვა: Accountancy Europe ყველაწიარად ცდილობს უზრუნველყოს, მაგრამ ვერ იძლევა იმის გარანტიას, რომ ამ პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია ზუსტია და ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას ამ ინფორმაციასთან დაკავშირებით. ჩვენ ხელს შევეუწყობთ მოცემული პუბლიკაციის გავრცელებას, თუ აღიარებული იქნება, რომ ჩვენ ვართ მასალის წყარო და იარსებებს ჰიპერბმული, რომელიც ჩვენს ორიგინალ შინაარსზე მიუთითებს. თუ გასურთ მოცემული პუბლიკაციის ასლის დამზადება ან თარგმნა, გთხოვთ მოთხოვნა გამოაგზავნოთ ელფოსტაზე: info@accountancyeurope.eu.

21 მაგალითად, სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) მიერ შეთანხმებული სტანდარტების გამოყენება შესაძლებელია, მაგ: მართვის სისტემების სერტიფიცირებისათვის, მომწოდებელ კომპანიებში რისკების შესაფასებლად. მაგალითად, [ISO 20400](#) ორგანიზაციებს უზრუნველყოფს გზამკვლევით შესაბამისი მდგრადობის ინტეგრაციასთან დაკავშირებით. სერთიფიკატში მოცემულია, რომ კონკრეტული მოთხოვნები შესრულებულია.

22 კომპანიებმა უნდა განახორციელონ ადამიანის უფლებებისა და გარემოსდაცვითი „დიუ დილიჯენსი“ შემდეგი გზით:

- ა. „დიუ დილიჯენსის“ მათ პოლიტიკაში ინტეგრაციით
- ბ. ფაქტობრივი ან პოტენციური არახელსაყრელი/უარყოფითი გავლენის იდენტიფიცირებით
- გ. პოტენციური არახელსაყრელი/უარყოფითი გავლენის თავიდან აცილებითა და შემცირებით და ფაქტობრივი არახელსაყრელი/უარყოფითი გავლენის დასრულებითა და მისი მოცულობის შემცირებით
- დ. საჩივრის პროცედურების დანერგვითა და შენარჩუნებით
- ე. მათი „დიუ დილიჯენსის“ პოლიტიკისა და შეფასებების ეფექტიანობის მონიტორინგით
- ვ. საჯარო კომუნიკაციით „დიუ დილიჯენსთან“ დაკავშირებით

23 მაგალითად, უახლესი [ISO 37000: 2021 ორგანიზაციების მართვა — გზამკვლევი](#) ორგანიზაციებსა და მათ მმართველ ორგანოებს უზრუნველყოფს ინსტრუმენტებით, რომლებიც კარგი მმართველობისათვის სჭირდებათ. გზამკვლევი მმართველობის ცენტრალურ ნაწილში განიხილავს მიზანსა და მდგრადობას.



Avenue d'Auderghem 22-28, 1040 Brussels



+32(0)2 893 33 60



www.accountancyeurope.eu



@AccountancyEU



Accountancy Europe

Accountancy Europe-ის შესახებ

Accountancy Europe-ი აერთიანებს 50 პროფესიულ ორგანიზაციას იმ 35 ქვეყნიდან, რომელიც წარმოადგენს **1 მილიონამდე** პროფესიონალ ბუღალტერს, აუდიტორსა და კონსულტანტს. ისინი ეხმარებიან ადამიანებს სასურველი შედეგების მიღებაში. Accountancy Europe-ი ყოველდღიურ გამოცდილებას გარდაქმნის იმგვარად, რომ საჯარო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია გაავრცელოს ევროპასა და მის ფარგლებს გარეთ.

Accountancy Europe-ი იმყოფება ევროკავშირის გამჭვირვალობის რეესტრში (No 4713568401-18).